სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

22 სექტემბერი 2025

N 537/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ახალციხის მუნიციპალიტეტში, ვალეს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, წელიწადში ჯამურად 646 380 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმიანობის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, ვალეს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 997-1001 მეტრის სიმაღლეზე. სალიცენზიო ობიექტი წარმოდგენილია ორ უბნად, რომლებიც მოიცავს ერთ სატუმბ სადგურსა და რვა ჭაბურღილს (GPS კოორდინატები: სატუმბი სადგური – X-324856.187 Y-4612072.015; X-324860.917 Y-4612071.462; X-324860.908 Y-4612071.687; X-324861.122 Y-4612073.705; X-324867.138 Y-4612072.937; X-324873.029 Y-4212072.184; X-324872.856 Y-42120720.136; X-324877.026 Y-4612069.702; X-324876.172 Y-4612061.921; X-324865.029 Y-4612063.224; X-324855.571 Y-4612064.330. ჭაბურღილები: №1 – X-324442 Y-4612700; №2 – X-324531 Y-4612660; №3 – X-324599 Y-4612598; №4 – X-324549 Y-4612557; №5 – X-324628 Y-4612519; №6 – X-324661 Y-4612537; №7 – X-324787 Y-4612159; №8 – X-324897 Y-4612150). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, სატუმბი სადგურიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილი დაახლოებით 40 მეტრს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სალიცენზიო ობიექტიდან გათვალისწინებულია წელიწადში ჯამურად 646 380 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის მოპოვება და ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 25 წელი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტი მიეკუთვნება ნაპრალური წყლების ახალციხის არტეზიულ აუზს. წყალშემცველი ჰორიზონტი წარმოდგენილია თანამედროვე ალუვიური ნალექებით, სადაც გვხვდება კაჭარი და კენჭნარი – ქვიშიანი შემავსებლით, იშვიათად, თიხების შუაშრეებით. წყალშემცველი ჰორიზონტის სიმძლავრე 3-დან 40-50 მეტრის ფარგლებში მერყეობს. მიწისქვეშა წყლები ხასიათდება თავისუფალი სარკით, რომელიც მიმართულია მდინარის დინებისკენ. მიწისქვეშა წყლების სიღრმე 1-დან 12 მეტრამდე მერყეობს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მორფოლოგიური თვალსაზრისით სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს მდინარე ფოცხოვისწყალის მარჯვენა, ვაკე რელიეფის მქონე ჭალის შემაღლებულ ტერასაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. სალიცენზიო ობიექტის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური

პროცესები არ ფიქსირდება და ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ზუსტი დებიტი და სავარაუდო სიღრმე უცნობია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხს, სალიცენზიო ობიექტიდან წელიწადში ჯამურად 646 380 $м^3$ მიწისქვეშა წყლის მიღება შესაძლებელია. ჰორიზონტის მიწისქვეშა წყლების სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მოპოვებული მიწისქვეშა წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენება შესაძლებელია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტი მოწყობილია, თუმცა, №4 ჭაბურღილის მიმდებარედ უნდა აღიკვეთოს დაჭაობება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებთან და ახალი ტერიტორიების ათვისებასთან, რაც გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედებას გამოიწვევდა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა, გარემოს დაბინძურება და ხმაური, ასევე, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ხოლო ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომლებსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა წყლის გარემოს დაბინძურებას არ გამოიწვევს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტიდან წელიწადში ჯამურად 646 380 $м^3$ მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის მოპოვება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში, ვალეს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, წელიწადში ჯამურად 646 380 $м^3$ მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გზშ-ს;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/537-21-4-202509221631